

ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: გამოყენებითი ეკოლოგია
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ეკოლოგიის დოქტორი (გეოგრაფიული ეკოლო-
გია/ბიოეკოლოგია/სამედიცინო ეკოლოგია/ეკოლოგიური სამართალი)
PhD in Ecology (Geoecology /Bioecology/ Medical Ecology/ Ecological Law);
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: საქ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის წ.-კ. სრული პროფესორი
თენგიზ ურუშაძე

თანახელმძღვანელი: გ.მ.დ., ასოცირ. პროფესორი ლია მაჭავარიანი

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:

ინტერდისციპლინარული სადოქტორო პროგრამა დაფუძნებულია ოთხი დარგის ერთობლივ საქმიანობაზე: გეოგრაფიის („გეოგრაფიული ეკოლოგია“), ბიოლოგიის („ბიოეკოლოგია“), მედიცინის („სამედიცინო ეკოლოგია“) და სამართალმცოდნეობის („ეკოლოგიური სამართალი“).

„გეოგრაფიული ეკოლოგიის“ მიმართულებით ნაშრომი შესრულდება თსუ ზსმ ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში;

„ბიოეკოლოგიის“ მიმართულებით ნაშრომი შესრულდება თსუ ზსმ ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტში;

„სამედიცინო ეკოლოგიის“ მიმართულებით ნაშრომი შესრულდება თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში;

„ეკოლოგიური სამართალი“ მიმართულებით ნაშრომი შესრულდება თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი

ინტერდისციპლინარული სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს ფართო პროფილის ეკოლოგი, რომელიც სპეციალიზირებული იქნება ერთ-ერთ სფეროში წარმოდგენილი მოდულებიდან, კერძოდ:

- მოამზადოს მეცნიერ-მკვლევარი (გეოგრაფ-ეკოლოგი), რომელიც სპეციალიზირებული იქნება პედოგეოგრაფიაში და გარკვეული იქნება გარემოს მდგომარეობის შესწავლასა და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში.

- მოამზადოს მეცნიერ-მკვლევარი (ბიოლოგ-ეკოლოგი), რომელიც სპეციალიზირებული იქნება ზოგად და გამოყენებით ეკოლოგიაში და გარკვეული იქნება გარემოს მდგრადი განვითარების საფუძვლებში.

- მოამზადოს მეცნიერ-მკვლევარი სამედიცინო ეკოლოგიის დარგში, რომელიც სპეციალიზირებული იქნება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, ჰიგიენაში (გარემოს ჰიგიენაში), რისკების იდენტიფიკაცია და მათი გამოვლენის შეფასებაში, ეპიდემიოლოგიაში, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში და რისკის მართვისათვის აუცილებელი პრიორიტეტების განსაზღვრაში.

- მოამზადოს მეცნიერ-მკვლევარი ეკოლოგიური სამართლის დარგში, რომელიც სპეციალიზირებული იქნება ეკოლოგიურ სამართალში, გარემოს ცალკეული კომპონენტების სამართლებრივ დაცვაში.

პროგრამის შედეგი.

წარმოდგენილი პროგრამით მომზადებულ დოქტორს ექნება თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შემდეგი ამოცანების გადასაწყვეტად:

- **შეაფასოს** ეკოლოგიური მდგომარეობა გეო- და ბიო-ობიექტსა და სისტემებში, გაარკვიოს მათი მდგომარეობა ეკოლოგიურ სივრცეში, მდგრადი განვითარების შესაძლო დარღვევის საშიშროება, სამედიცინო და სამართლებრივი ნორმებით შექმნილი მდგომარეობა და სხვ.;

- **დაუკავშიროს** შექმნილი მდგომარეობა მოსახლეობის ჯანმრთელობას, არსებულ სამართლებრივ ნორმებს დას სხვ.

- **ჩაატაროს** ნიადაგური და ბიოლოგიური ობიექტების ეკოლოგიური ექსპერტიზა და **განსაზღვროს** ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის და

სამართლებრივი ნორმების დარღვევის საშიშროება, მისი მოცულობა და თავიდან აცილების გზები;

- დაადგინოს ეკოლოგიური წონასწორობის ნიადაგურ-ბიოლოგიური, სამედიცინო, სამართლებრივი მიდგომები მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით;
- შეძლოს მიღებული შედეგების ეფექტური პოპულიარიზაცია პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოსახლეობის ფართო წრეებს შორის;
- გაავრცელოს კვლევის შედეგები მსგავსი ან მიახლოებული ობიექტების ფუნქციონირების ისეთ უზრუნველყოფაზე, რომელიც გამორიცხავს მათი არამდგრადი განვითარებას საშიშროებას.
- შექმნას და დამუშაოს მონაცემთა ბაზა და შექმნას მიღებული შედეგების ამსახველიკარტოგრაფიული მასალა;

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრები და საგანმანათლებლო სექტორი, საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და გარემოს მონიტორინგის სამსახურები, რეკრეაციული სფერო, რეგიონალური და საერთაშორისო ეკოლოგიური პროგრამები, პროექტები და ორგანიზაციები; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ობიექტები და სხვ.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

ეკოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად **გეოგრაფიული ეკოლოგიის მიმართულებით** წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში, საბუნებისმეტყველო, აგრარულ მეცნიერებებში და სხვ. მომიჯნავე სფეროებში;

ეკოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად **ბიოგეოგრაფიის მიმართულებით** წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, საბუნებისმეტყველო, აგრარულ მეცნიერებებში და სხვ. მომიჯნავე სფეროებში;

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად **ეკოლოგიური მედიცინის მიმართულებით** წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი მედიცინის დარგში.

ეკოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად **ეკოლოგიური სამართლის მიმართულებით** წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სამართალმცოდნეობაში.

სასწავლო კომპონენტი:

	საგნის დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	სემესტრი
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5	I
2.	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	სავალდებულო	5	I
3.	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	სავალდებულო	5	II
4.	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	10	I-II
5.	მეცნიერების მენეჯმენტი	არჩევითი	5	II
7.	გამოყენებითი ეკოლოგია	სავალდებულო	10	I-II
8.	მოდულების სპეცკურსები	არჩევითი	20	I-II

დოქტორანტს სემესტრის განმავლობაში ორჯერ ჩაუტარდება ინდივიდუალური კოლოკვიუმი (დარგში თანამედროვე სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის დამუშავება სადისერტაციო ნაშრომის თემასთან კავშირში).

ნაშრომი შეფასდება 50 ქულით:

- 10 ქულა თემის აქტუალობის წარმოჩენა
- 20 ქულა კვლევითი თემატიკის წარმოჩენა
- 20 ქულა თემის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გამოკვეთა.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სადოქტორო პროგრამა განხორციელდება შემდეგი ფორმით:

- გეოგრაფიული ეკოლოგიის მიმართულებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულებაზე არსებული ლაბორატორიების ბაზაზე (მათ სორის, ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის). ამ მიმართულებით თანამშრომელთა სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, საერთაშორისო კონტაქტები, განხორციელებული პროექტები სრულ შესაძლებლობას იძლევა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.
- ბიოეკოლოგიის მიმართულებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულებაზე. ამ მიმართულების თანამშრომელთა სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება და საერთაშორისო კონტაქტები სრულ შესაძლებლობას იძლევა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.
- სამედიცინო ეკოლოგიის მიმართულებით მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტში. ამ მიმართულების თანამშრომელთა სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება და საერთაშორისო კონტაქტები სრულ შესაძლებლობას იძლევა წარმატებით განხორციელებისათვის.
- ეკოლოგიური სამართლია მიმართულებით განხორციელდება იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ მიმართულების თანამშრომელთა სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება და საერთაშორისო კონტაქტები სრულ შესაძლებლობას იძლევა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე სასურველია თითოეულ მოდულზე 1 დოქტორანტის მიღება.